საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/17/304 „16“ 02 2016წ.

შპს „ენერგოტრანსის“ დირექტორს,
ბატონ კახა სეხნიაშვილს
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ. N2
ტელ: (+995 32) 2510140

ბატონო კახა,

თქვენი წერილის N49 05.02.16 პასუხად, რომელიც ეხება ქსანი-სტეფანწმინდის საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაუცხოების დერეფანში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევასა და ელექტროგადამცემი ხაზების განლაგების დეტალურ საინჟინრო პროექტს, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი საყრდენების განლაგების ადგილები მაქსიმალურად დაშორებულია არქეოლოგიური ობიექტებისგან, ხოლო თქვენ მიერ ჩასატარებელი სამუშაოები საფრთხეს არ უქმნის მათ განადგურებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს სამუშაოები წარმოდგენილი სიტუაციური გეგმის მიხედვით (იხ. დანართი).

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (ამ ეტაპზე – სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოადგილე დავით ლომიტაშვილი

დანართი: 9 გვერდი. არქეოლოგიური ობიექტებისა და საპროექტო ელ. გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმები.